თუმცადა, თუ ჩავუღრმავდებით, თარგმანის აბსოლუტური იგივეობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ზღვრულად, ვინაიდან 24-დან 23 ტექსტი არის თარგმანი და ეყრდნობა წყარო ტექსტს. მაშასადამე, საჭიროა განვსაზღვროთ ამ დამოკიდებულების ხარისხი, თუ რას ნიშნავს თარგმანის გენერალური დირექტორატის რეკომენდებული დედნისა და თარგმანის იგივეობის ფორმულა: „იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია“ პრაქტიკაში გამოყენებისას. პასუხს ფაქტობრივად განსაზღვრავს ტექსტის მიზანი. გარდა ამისა, განსხვავებულ ენაში ის შეიძლება სხვადასხვა იყოს, ვინაიდან მეთოდური მითითებები ერთი და იგივე არ არის განსხვავებულ ტექსტებსა და ენებში.

interpretation of the text. While talking about the pragmatic meaning, we discussed the views of various scholars on the term pragmatics itself. It is widely believed that its modern use is associated with the philosopher Charles Morris (Levinson, 1983:2). He singled out pragmatics as one of the directions of semiotics (the science of signs) as a study of the relation of interpreters of signs.

According to Morris, pragmatics is a very broad concept that studies the ongoing psychological, biological and social processes in the functioning of signs. Such an understanding of pragmatics is very broad, and in sharing this position it would have included aspects of language that are now being studied by the independent disciplines of linguistics: psycholinguistics, sociolinguistics, and others. On the other hand, the frameworks of pragmatics have been narrowed, which is associated with the name of the philosopher Carnap (Levinson, 1983:2). In his opinion, if the interlocutor is openly mentioned in the study of the meaning of the expression, in such a case the analysis is carried out in the context of pragmatics. The position that pragmatics is the study of aspects of language that inevitably require reference to the language user leads to a much narrower understanding of the term. According to Levinson (Levinson, 1983:7), such an explanation of pragmatics would make it impossible to make a thorough study of the use of language. He argues that if the existence of a trichotomy (syntax, semantics, pragmatics) is important for linguistics, then it is necessary to establish an appropriate framework for pragmatics so that linguistic research covers essential aspects of context. Context should include time and space options for the personalities of individuals involved in communication, their beliefs, knowledge, education, and individual intentions. Thus, it is important to find a definition of pragmatics that sets the appropriate research framework for this discipline and enables a full and consistent study of its meaning.

According to one of the definitions suggested by Yule (Yule, 2000:12), pragmatics is the study of meaning conveyed by the speaker or

the interpretation of the law and the interpretation of verbal signs or the interpretation of verbal signs in the same language with other signs.

Drafting laws is the prerogative of the legislature, and the judge has the full right to interpret them. According to the teleological interpretation, he must reconcile the understanding of the law and the specific case under consideration. He interprets the law in his native language, i.e. there is an internal translation.

In the case of international legal acts, such as the Association Agreement we have analyzed, no less important is the inter-linguistic interpretation, or the translation itself. It is necessary to maintain the equivalence between the original and the source text so that the judge can correctly determine the purposes encoded in it and adapt it to the specific case under consideration, i.e. to carry out a teleological interpretation of the law. In the teleological study of legal parallel texts, we have been guided by the view that the specific purpose coded in each term serves to direct human consciousness towards the rule of law, and its ultimate goal is the formation of a just society. Therefore, judging from a teleological point of view, we can conclude: laws are created not just to know, but to obey, to live in a law-abiding, just society, which is the supreme goal of society. According to all the above mentioned, every mistake or inaccuracy made in the translation, the selection of an inappropriate equivalent of this or that term, is not just a translation error, but there is a danger of misinterpretation of the law. Especially when it comes to such a level of intergovernmental legal document as the translation of an association agreement. According to this agreement, Georgia should become part of the Common European Legal Area, so the goal encoded in each legal term translated into Georgian should correspond to the goal encoded in the original term.

3.2. Peculiarities of Pragmatic Interpretation of the Text -

Since teleology is closely related to pragmatics, in this subchapter we considered it appropriate to analyze the peculiarities of pragmatic

თარგმანის გენერალური დირექტორატი განასხვავებს ორი სახის ხარისხის კონტროლს (DGT Translation Quality Guidelines, 2015:35):

- **შემოწმება** (revision), რომელიც გულისხმობს სამიზნე და წყარო ტექსტების ორენოვან კვლევას დასახულ ამოცანებთან მათი შესატყვისობის განსაზღვრის მიზნით;
- **რეცენზირება** (review), რაც გულისხმობს სამიზნე ტექსტის ერთენოვან კვლევას დასახულ ამოცანებთან მისი შესატყვისობის განსაზღვრის მიზნით.

ჩავუღრმავდეთ მეთოდურ მითითებებს სამართლებრივი დოკუმენტაციისათვის, რომლებიც შეეხება შემდეგი სახის დოკუმენტებს:

1. ევროკავშირის სამართლებრივი აქტები: ხელშეკრულებები, რეგულაციები, დირექტივები, გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები, მოსაზრებები, საერთაშორისო შეთანხმებები;
2. დოკუმენტები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციულ და სასამართლო საქმისწარმოებასა და მოკვლევაში, როგორებიცაა: სამართალდარღვევა, ანტიმონოპოლიური, სახელმწიფო სუბსიდირებისა თუ სხვა საქმეები, მაგალითად: სასამართლო სარჩელი, ოფიციალური წერილები, შემავებელი სარჩელი და სხვა;
3. შესყიდვების დოკუმენტაცია და დაფინანსების პროგრამები, ტენდერები, საგრანტო განაცხადებები და კონტრაქტები;
4. დასაქმების ცნობები, საკონკურსო და ტესტირების დოკუმენტაცია.

ყოველი თარგმნილი ტექსტი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით (ISO 17100) განსაზღვრულ ძირითად

პრინციპებსა და პროფესიონალური თარგმანის ხარისხის მოთხოვნებს.

რაც შეეხება ევროკავშირის სამართლებრივ აქტებს, მათ აქვთ სამართლებრივი ძალა, კერძოდ: განსაზღვრავენ უფლებებს, ვალდებულებებს, კანონის მოსალოდნელ შედეგებს. მკითხველი, იქნება რიგითი მოქალაქე თუ სასამართლოს წარმომადგენელი, სრულიად დარწმუნებული უნდა იყოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის სანდოობაში და იმოქმედოს შესაბამისად. **სამართლებრივი აქტების ყველა ენაზე არსებული ვერსია თანაბრად ავთენტური უნდა იყოს.** ისინი ყველა ენაზე უნდა შეიცავდნენ ერთსა და იმავე შინაარსს და ჰქონდეთ ერთნაირი სამართლებრივი მოქმედების ძალა. დაუშვებელია არსებობდეს მეტ-ნაკლები უპირატესობა სხვადასხვა მოქალაქის, კომპანიისა თუ წევრი სახელმწიფოებისათვის, რაც განპირობებული იქნება თარგმანში დაშვებული შეცდომებითა თუ სხვადასხვა ენაზე არსებულ ვარიანტებს შორის შეუსაბამობით.

ტერმინოლოგია უნდა იყოს ორმხრივად შესატყვისი, კერძოდ, **ერთი და იგივე ტერმინი სინონიმების და დამატებითი ფორმულირებების გარეშე უნდა გამოიყენებოდეს როგორც სამართლებრივ აქტში, ასევე ნებისმიერ ძირითადასა თუ პარალელურ აქტში.**

ახალი ტერმინის შექმნა დასაშვებია მხოლოდ კონცეპტუალური ანალიზის შედეგად, რასაც ტერმინისა თუ ფრაზის ტერმინოლოგიურ გაგებასთან მივყავართ.

რაც შეეხება ტერმინის კონცეპტუალურ არეალს, ის უცვლელი უნდა დარჩეს. ევროკავშირის კანონმდებლობის სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით ცალკეული ერის სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი კონცეპტებისა და

The study of purposeful behaviors and the ultimate goal became the cornerstone of their research, thus explaining the purposeful behavior of humans and other living beings (and not only living).

Particularly interesting and important in the research process in the parallel mode of the Association Agreement was the teleological analysis, which ensured that the existence of each word could be explained for a specific purpose. We have repeatedly mentioned that every word used in translation, like any living being, must have a certain function. From a teleological point of view, one of the main features of the legal documentation is that each term must be encoded from the very beginning with certain information and, therefore, it must have specific goals and purposes. With this in mind, the primary task of the translator should be not just to translate legal terminology, but to select words for the target text that encode similar information to the words used in the original. Moreover, they should have the same goals and purpose. Given the large number of translation inaccuracies identified by the software analyzer in our research, we are convinced that a large number of legal terms are translated from lexical viewpoint, neglecting the purpose encoded in it.

The judge must interpret the law, for this he can not rely on the individual words contained in it, which may have different meanings and cause intellectual ambiguity. The best solution is a teleological interpretation, a kind of philosophical approach based on the aims and directions of this or that law and not by the meaning of individual words or phrases. Teleological interpretation can be defined as "the method used by the court when interpreting legislative acts in terms of set goals, values, legal, social and economic objectives."

In order to better present the teleological interpretation of the law, we consider it appropriate to discuss R. Jakobson's theory of interpretation (Beridze, 2018:16). It distinguishes between three types of interpretation of a linguistic sign, of which we will distinguish between

While analyzing the Slovenian corpus, the scholars came to the conclusion that it was necessary to create a separate corpus for the directly contextual meanings of the phrases in the association agreement. What does this mean throughout our dissertation? The fact is that the approach of Slovenian scientists to the meaning of the term and phrase confirms the correctness of our view of the issue, because they indirectly but still focused on the teleological meaning of the term and the phrase when they raised the issue of the need to create a separate corpus. This corpus was composed not of the lexical but of the contextual meanings of this or that term or phrase, which they acquired directly in the Association Agreement; These meanings can be understood only through their teleological analysis and understanding, that is, through the contextual meaning acquired in the direct association of legal terms and phrases. This will make the job easier for linguists as well as terminologists and translators. Thus, creating electronic databases of phrases, terminology, is primarily beneficial for them.

Chapter III. **Teleological approaches as method of interpretation of legal texts** - consists of three subchapters:

3.1. **The notion of teleology; Teleological interpretation of the text** - Teleology originates from the Greek word "telos" (last, ending). Every word, like a living body, has a certain "end" or purpose, function. Some scholars associate the term "teleology" with the name of the philosopher Christian Wolf. The latter viewed it as "part of a philosophy that reveals the end or aims of things" (Glaserfeld, 2009:17). Teleology considers and relies on the best, highest value, perfection to which the world aspires. This is the main purpose of the existence of the universe: the universe and everything in it, material and nonmaterial, is constantly evolving and changing for the better.

Most philosophers from the second half of the nineteenth century admitted the existence of an ultimate goal and discussed in their works the advantages of teleological analysis (Wevel, Herschel, and others).

ტერმინოლოგიის გამოყენებისას სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

გასაგებად და სწორად თარგმნილი კანონები მოქმედი დემოკრატიის უტყუარი წინაპირობაა. ყველა ენაზე არსებული ვერსიები უნდა შეესაბამებოდეს ზოგადსაკანონმდებლო პრინციპებს, როგორებიცაა: კანონის წინაშე თანასწორუფ-ლებიანობა (კანონი თანაბრად ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს ყველასთვის) და კანონის სანდოობა (შესაძლებელი უნდა იყოს მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განჭვრეტა) (DGT Translation Quality Guidelines; 2015: 6).

2.2. **Acquis Communautaire – პარალელური კორპუსი 20+ ენით** - ჩვენი კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ასოცირების ხელშეკრულების კორპუსი Acquis Communautaire განხილვა, რადგან საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, როგორც იურიდიული დოკუმენტი, სწორედ მისი ნაწილი გახდება; ხოლო დისერტაციის ფარგლებში ჩვენი კვლევის ობიექტია სწორედ აღნიშნული ასოცირების ხელშეკრულების ინგლისური და ქართული ტექსტები და მათი მთარგმნელობითი ეკვივალენტობის ანალიზი.

Acquis-ი აერთიანებს ევროკავშირის ხელშეკრულებებსა და კანონებს (დირექტივებს, დებულებებს, გადაწყვეტილებებს), დეკლარაციებსა და რეზოლუციებს, საერთაშორისო შეთანხმებებსა და სასამართლოს განაჩენებს. ის ასევე მოიცავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობების ერთობლივ აქტებს სასამართლო და საშინაო საკითხებში (თავისუფლება, უსაფრთ-

ხოება და სასამართლო), ასევე საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთობლივ აქტებს.

დღესდღეობით Acquis-ი თარგმნილია ევროკავშირის 22 ოფიციალურ ენაზე, რომლებიც წყარო ტექსტთან ერთად არსებობენ, როგორც პარალელური ტექსტები.

დღესდღეობით კი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსებულ მრავალენოვან კორპუსებს შორის ყველაზე მასშტაბური **JRC-Acquis-ის**, რომელიც ოცზე მეტ ენას მოიცავს. ის ხელმისაწვდომია XML ფორმატში და შეიცავს მონიშნულ ტექსტებსა და თანაფარდობით ინფორმაციას 190-ზე მეტი ენობრივი წყვილისათვის.

JRC-Acquis-ის დამატებითი თვისება გახლავთ ის, რომ კლასიფიკაციის სპეციალური სისტემის - EUROVOC-ის თეზაურუსის გამოყენებით (კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც 6000-ზე მეტ იერარქიულად დალაგებულ ჯგუფს აერთიანებს), შესაძლებელი ხდება ტექსტების კლასიფიკაცია საგნობრივი მახასიათებლების მიხედვით. ტექსტის საგნობრივი მახასიათებლების ცოდნის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება სპეციფიკური ტერმინოლოგიის ჩამონათვალის შექმნა, ასევე დოკუმენტების კლასიფიკაციის პროგრამული უზრუნველყოფისა და ავტომატური ინდექსირების სისტემის გამოცდა.

2.3. ასოცირების ხელშეკრულების თარგმანი სერბეთში - წინამდებარე ნაშრომში მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ის კორპუსლინგვისტიკური მეთოდები, რომლებიც ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში მკვლევრებმა გამოიყენეს ასოცირების ხელშეკრულების თარგმანისა და კორპუსლინგვისტიკური დამუშავების მიზნით; კერძოდ, ჩვენი კვლევისათვის მიზან-

methods used by researchers in various EU countries to translate and corpus-linguistic processing of the Association Agreement; In particular, for our research, it is advisable to discuss M. Vukcevic's research article entitled: EU directives and standards on translation and their application in Serbia, a non-EU country undergoing a stabilization and association process. M. Vukcevic writes that a translation error in the Association Agreement with the EU cost the country 20 million euros.

We considered that this fact required a detailed analysis in our topic in order to (1) take into account the experience of Serbia and avoid its negative result, a financial precedent; (2) once again raise the issue of the need to develop a proper strategy for translating legal documentation terminology;

As in the case of Serbia, the sequence of translation editing causes problems, as evidenced by the analysis of the researcher Berteloot (Berteloot, 1999:101). The unfortunate consequences of the procedure for working on an association agreement, namely the low quality of translation, scholars believe, is that linguistic editing did not precede legal editing, which is highly necessary because once jurists decide to convey this or that structure more accurately, linguistic change or correction is almost impossible (Pescatore, 1999:93).

2.4. Anglo-Slovenian Corpus of the Association Agreement with the European Union - Many countries can be mentioned when talking about the problems occurred during the translation of the Association Agreement; It is worth analyzing countries with languages spoken in a small area, highlighting the issue of exact equivalence and ways to solve it. One of such examples is Slovenia. The Slovenian-English parallel corpus officially includes 15 original texts and their translations, for a total of 1 million words. Their digital field terminology is sorted by corpus methodology and consists of different sub-corpora. The largest (33%) terminological base in the corpus structure includes legal documents and related documents related to Slovenia's association with the European Union.

(law must be equally accessible and comprehensible to all) and credibility of the law (it must be possible to predict the expected results) (DGT Translation Quality Guidelines; 2015:6).

2.2. Acquis Communautaire - Parallel corpus in 20+ languages - According the aims and objectives of our research, we considered it appropriate to discuss the corpus of the Acquis Communautaire Association Agreement, as the Association Agreement with Georgia as a legal document will be part of it; Within the framework of the dissertation, the object of our research is the English and Georgian texts of the mentioned association agreement and the analysis of the translation equivalence.

The Acquis unites EU treaties and laws (directives, regulations, decisions), declarations and resolutions, international agreements and court's decisions. It also includes Joint Acts of the Governments of the Member States of the European Union in judicial and internal affairs (freedom, security and the judiciary), as well as Joint Acts of Foreign and Security Policy.

The Acquis is currently translated into 22 official EU languages, which exist alongside the source text as parallel texts.

Nowadays, as far as we know, JRC-Acquis is the largest among the existing multilingual corpora, which includes more than twenty languages. It is available in XML format and contains selected texts and ratio information for more than 190 language pairs.

An additional feature of the JRC-Acquis is that it is possible to classify texts according to subject characteristics using a special classification system - EUROVOC Thesaurus (a classification system that includes more than 6000 hierarchical groups). Knowledge of the subject characteristics of the text makes it possible to create a list of specific terminology, as well as test the document classification software and the automatic indexing system.

2.3. Translation of the Association Agreement in Serbia - In this research, we consider it appropriate to consider the corpus linguistic

შეწონილია განვიხილოთ მ. ვუკჩევიჩის კვლევითი სტატია სათაურით: ევროკავშირის დირექტივები და სტანდარტები თარგმანისა და თარჯიმნობის შესახებ და მათი გამოყენება სერბეთში, ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, რომელიც სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესს გადის. მ. ვუკჩევიჩი წერს¹, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში **მთარგმნელობითი შეცდომა ქვეყანას 20 მილიონი ევრო დაუჯდა.**

მივიჩნით, რომ აღნიშნული ფაქტი ჩვენს თემაში დაწვრილებით ანალიზს საჭიროებდა, რათა (1) მხედველობაში მივიღოთ სერბეთის გამოცდილება და თავიდან ავირიდოთ სავალალო შემთხვევა, ფინანსური პრეცედენტი; (2) კიდევ ერთხელ დავსვათ საკითხი, იურიდიული დოკუმენტაციის ტერმინოლოგიის თარგმნის სწორი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობაზე;

როგორც სერბეთის მაგალითზე აღმოჩნდა, თარგმანის რედაქტირების თანმიმდევრობა იწვევს პრობლემებს, რასაც მკვლევარ ბერტლუტის ანალიზიც მოწმობს (Berteloot, 1999:101). ასოცირების ხელშეკრულებაზე მუშაობის პროცედურის არასახარბიელო შედეგები, კერძოდ, თარგმანის დაბალი ხარისხი

¹ “A wrong translation costs the citizens 20 million Euros. The ignorance of the employees in the National Health Insurance Fund” This news headline (Todorović 2013: 2) recently has aroused tempers. The director of the Serbian National Health Insurance Fund was taken to task for initiating the use of new health insurance cards despite the costs it will incur for the citizens at a time when the global financial crisis burst in upon Serbia. It is claimed that the health card, as it is called in translation, refers not to the health insurance card but to the health record. Although the translation from English to Serbian is obviously not wrong, confusions arose from the interference between the meanings of the European Health Insurance Card (or EHIC) and the electronic health record.

მეცნიერთა მოსაზრებით გახლავთ ის, რომ **ლინგვისტური რედაქტირება** წინ არ უსწრებდა **სამართლებრივ რედაქტირებას**, რაც უალრესად საჭიროა, რადგან, მას შემდეგ, რაც სამართალმცოდნეები გადაწყვეტენ, რომ წინადადების ესა თუ ის სტრუქტურა უფრო ზუსტად გადმოსცემს აზრს, ლინგვისტური ცვლილების ან შესწორების შეტანა თითქმის შეუძლებელია (Pescatore, 1999: 93).

2.4. **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ინგლისურ-სლოვენური კორპუსი** - ასოცირების ხელშეკრულების თარგმნისას შექმნილ პრობლემებზე საუბრისას არაერთი ქვეყნის გახსენება შეიძლება; ყველაზე უპრიანია ისევ მცირე არეალზე გავრცელებული ენების მქონე ქვეყნების გაანალიზება, სადაც ხაზგასმულია ზუსტი ეკვივალენტობის საკითხი და მისი გადაჭრის გზები. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია სლოვენია. სლოვენურ-ინგლისური პარალელური კორპუსი ოფიციალურად მოიცავს 15 დედანს და მათ თარგმანებს, რაც საერთო ჯამში შეადგენს 1 მილიონ სიტყვას. მათი ციფრული დარგობრივი ტერმინოლოგია კორპუსული მეთოდოლოგიითაა დალაგებული და სხვადასხვა ქვეკორპუსისგან შედგება. კორპუსის სტრუქტურაში ყველაზე დიდი (33%) ტერმინოლოგიური ბაზა მოიცავს იურიდიულ-სამართლებრივ და ისეთი სახის დოკუმენტებს, რომლებიც სლოვენის ევროკავშირთან ასოცირებას უკავშირდება.

სლოვენური კორპუსის ანალიზისას მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო შექმნილიყო **ცალკე კორპუსი ასოცირების ხელშეკრულებაში არსებული ფრაზების უშუალოდ კონტექსტური მნიშვნელობებისთვის**. რას ნიშნავს ეს ჩვენი

2. Documents used in administrative and judicial proceedings and investigations, such as, crime, antimonopoly, state subsidy, or other cases, for example, lawsuit, official letters, counterclaim, etc.;

3. Procurement documentation and funding programs, tenders, grant applications and contracts;

4. Employment Certificates, Competition and Testing Documents.

Each translated text must comply with the basic principles set out in international standards (ISO 17100) and the quality requirements of a professional translation.

As for EU legal acts, they have legal power, namely: they define rights, obligations, the expected consequences of the law. The reader, whether an ordinary citizen or a representative of the court, must be fully confident in the reliability of the information contained in the document and act accordingly. All language versions of legal acts must be equally authentic. They must contain the same content in all languages and have the same legal power. It is not allowed to have more or fewer advantages for different citizens, companies or member states, which will be due to translation errors or inconsistencies between the versions available in different languages.

The terminology should be mutually corresponding, in particular, the same term without synonyms and additional formulations should be used in the legal act as well as in any major or parallel act.

The creation of a new term is permissible only as a result of conceptual analysis, which leads to a teleological understanding of the term or phrase.

As for the conceptual area of the term, it should remain unchanged. Taking into account the specific nature of EU law, we must take caution when using concepts and terminology specific to the legal system of an individual nation.

Understandable and correctly translated laws are the undisputed prerequisite for a democracy in action. Versions in all languages must comply with general legal principles, such as equality before the law

All official languages have the same official status, requirements, and tasks that apply equally to each of them. This means that in 23 cases out of 24 official languages, the requirements and tasks must be fulfilled through translation, thus the translator is the "de-facto" creator of the text.

A similar level of translation is referred to as "institutional translation" or "multilingual legislation" (DGT Translation Quality Guidelines, 2015:2). Consequently, translators are the "institutional voice" of their languages and create equally authentic texts. Thus, the existing methodological recommendations are intended not only for creators of source texts but also for translators and proofreaders. The main requirement for quality is the creation of texts that are read like the source text in all languages.

However, if we go deeper, the complete similarity of the translation can be achieved only marginally, since 24 to 23 texts are translations and rely on the source text. It is, therefore, necessary to define the degree of this dependence on the formula recommended by the Directorate-General for Translation and the similarity of translation mean: "as far as possible" in practice. In addition, it may be different in different languages, since the methodological instructions are not the same in different texts and languages.

The Directorate-General for Translation distinguishes between two types of quality control (DGT Translation Quality Guidelines, 2015:35):

- Revision, which means the bilingual study of the target and source texts to determine their relevance to the objectives set;
- Review, which means a monolingual study of the target text to determine its relevance to the objectives.

We will deepen the methodological guidelines for legal documentation related to the following types of documents:

1. EU legal acts: treaties, regulations, directives, decisions, recommendations, opinions, international agreements;

დისერტაციის ფარგლებში? ფაქტია, რომ ტერმინისა და ფრაზის მნიშვნელობისადმი სლოვენელი მეცნიერების მიდგომა ადასტურებს საკითხის ჩვენეული ხედვის სისწორეს, რადგან მათ, ირიბად მაგრამ მაინც, სწორედ ტერმინისა და ფრაზის ტელეოლოგიური მნიშვნელობით ცალკე გამოტანაზე, ახალ გაგებაზე გაამახვილეს ყურადღება, როცა ცალკე კორპუსის შექმნის საჭიროების საკითხი წამოსწიეს წინ და დააყენეს საკითხი, რომ ეს კორპუსი შედგენილიყო ამა თუ იმ ტერმინისა თუ ფრაზის არა სალექსიკონო, არამედ იმ კონტექსტური მნიშვნელობებით, რაც მათ უშუალოდ ასოცირების ხელშეკრულებაში შეიძინეს; ამ მნიშვნელობებს კი მხოლოდ მათი **ტელეოლოგიური გაანალიზებითა და გაგებით თუ ჩავწვდებით**, ანუ სამართლებრივი-იურიდიული ტერმინებისა და ფრაზების უშუალოდ ასოცირების ხელშეკრულებაში შეძენილი კონტექსტური მნიშვნელობით. ამის შედეგად სამუშაო გაუადვილდებათ როგორც ლინგვისტებს, ისე ტერმინოლოგებს და მთარგმნელებს. ამრიგად, ფრაზების, ტერმინოლოგიური ელექტრონული ბაზების შექმნა, პირველ რიგში, ხელსაყრელია მათთვის.

თავი III. ტელეოლოგიური მიდგომები, როგორც სამართლებრივი ტექსტების ინტერპრეტაციის მეთოდი - შედგება სამი თავისაგან:

3.1. ტელეოლოგიის რაობა; ტექსტის ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია - ტელეოლოგია წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან „telos” (ბოლო, დაბოლოება). ის ჯერ კიდევ არისტოტელეს კვლევებიდან იღებს სათავეს, რომელიც ყოველი ორგანიზმის, არსების განვითარებას, სამყაროში არსებობას მისი გარკვეული დანიშნულების თვალსაზრისიდან გამომდინარე ხსნი-

და. ყოველ სიტყვას, მსგავსად ცოცხალი ორგანიზმებისა, აქვს გარკვეული „დაბოლოება“ ანუ დანიშნულება, ფუნქცია. მკვლევართა ნაწილი კი ტერმინ „ტელეოლოგიას“ ფილოსოფოს ქრისტიან ვულფის სახელს უკავშირებს. ეს უკანასკნელი განიხილავდა მას, როგორც „ფილოსოფიის ნაწილს, რომელიც ხსნის საგანთა დაბოლოებებს ანუ მიზანს (დანიშნულებას)” (Glaserfeld, 2009:17). ტელეოლოგია განიხილავს და ეყრდნობა იმ საუკეთესოს, უმაღლეს ფასეულობას, სრულყოფილებას, რომლისკენაც მიილტვის სამყარო. სწორედ ეს გახლავთ სამყაროს არსებობის უმთავრესი მიზანი: სამყარო და მასში არსებული ყოველივე მატერიალური თუ არამატერიალური განუწყვეტლივ ვითარდება და იცვლება, მიილტვის უკეთესობისკენ.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ფილოსოფოსთა უმრავლესობა აღიარებდა საბოლოო მიზნის არსებობას და თავიანთ შრომებში განიხილავდნენ ტელეოლოგიური ანალიზის უპირატესობას (ვეველი, ჰერშელი და სხვანი). მიზანმიმართული ქცევებისა და საბოლოო მიზნის შესწავლა მათი კვლევების ქვაკუთხედად იქცა, რითაც ხსნიდნენ ადამიანთა და სხვა ცოცხალ ორგანიზმთა (და არა მარტო ცოცხალ) მიზანმიმართულ ქცევას.

ასოცირების ხელშეკრულების პარალელურ რეჟიმში კვლევის პროცესში განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი გახლდათ ტელეოლოგიური ანალიზი, რომლის შედეგადაც დავრწმუნდით, რომ ყოველი სიტყვის არსებობა გარკვეული დანიშნულებით აიხსნება. არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ თარგმანში გამოყენებულ თითოეულ სიტყვას, მსგავსად ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისა, უნდა ჰქონდეს გარკვეული ფუნქცია. ტელეოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე,

As we have mentioned, tagging is quite hard, time-consuming and, at the same time, interesting process. It takes place in several stages.

Taking into account the above considerations, the first step in tagging is to select a scheme and model according to the task at hand, i.e. what kind of analysis we intend to make in the text, such as cultural characteristics, gender balance, or, in case of our research topic, the problem of translation equivalence. A set of tags should be selected considering how relevant it is both to the topic of the text and the research work set. For example, in the case of our research, during automatic and semi-automatic processing of the material to be inserted in the corpus, we perform the phasing in three stages: 1. Morphological analysis, 2. Syntactic analysis, 3, Semantic analysis. The following chapters discuss specific examples, their analysis and conclusions.

Chapter II. Proved methodology for the research of legal parallel texts based on foreign models - consists of four sub-chapters:

2.1. Translation quality standards and methodological recommendations of the Directorate-General for Translation of the European Commission - since the research direction of our dissertation concerns English and Georgian texts of the Association Agreement and the translation equivalence analysis, we consider it advisable to study translation quality standards and methodological recommendations which in the future, after association, will become a compulsory manual for standardization of translation quality in Georgia;

The Directorate-General for Translation of the European Commission imposes quality management frameworks in which translation must meet the needs of a certain client, other European Commission partner organizations or users and meet their expectations (DGT Translation Quality Guidelines, 2015:1). Special methodological recommendations have been developed that define the objectives of the translated text, the expected risks, and the specific quality requirements. DGT itself offers assistance to translators and editors to ensure goal matching.

Discovery, during which certain patterns are revealed by the deductive method - from the private to the general; Validation - confirmation that we have created the right product; Verification - at this point we confirm that we have created the product as we planned; Predictive Modeling - the patterns detected at this stage are used to predict unknown significance; Forensic Analysis - at this stage we identify the anomalies found in the patterns and explain them (Khalvashi, 2018: 38). This research covers the above stages of data mining, the analysis of which and the final result will be presented in the following chapters.

The next, no less time-consuming and hard process of data mining is text encoding, i.e. structuring the extracted data. Marking is considered to be the most common means of structuring data in the corpus. Marking can be interpreted as notifying, therefore, it involves the use of tags that are attached to words and phrases. Different forms of tags are used. Visually the tags contain vowels and surrounding symbols in the form of angular parentheses (<...>). Tags are usually represented in pairs, for example: <n> and </n>. The first is considered as the initial tag and the second as the finite. The text - the analytical material, which is referred to as the content - is placed between the initial and final tags. The content in the tags is written in both large and small vowels, for example: <n> or <N>, although this does not significantly differentiate them from each other. Tags usually have a hierarchical structure and are embedded in the text. In our research, we developed special tags, the use of which was based on the labeling of analytical texts for a pre-created software analyzer.

Consequently, any marking can be considered a means of interpreting the text. Through some interference with the text, we load additional encoded information into it, which, in turn, allows us to analyze it, conduct research, compare it with other texts. Marking is therefore an important element of corpus linguistics, as it is a key means of structuring a text.

იურიდიული დოკუმენტაციის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება გახლავთ ის, რომ თითოეულ ტერმინში იმთავითვე კოდირებული უნდა იყოს გარკვეული ინფორმაცია და, შესაბამისად, მას გააჩნდეს კონკრეტული მიზანი და დანიშნულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მთარგმნელის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს იურიდიული ტერმინოლოგიის არა უზრალოდ თარგმნა, არამედ სამიზნე ტექსტისთვის ისეთი სიტყვების შერჩევა, რომლებშიც დედანში გამოყენებული სიტყვების მსგავსი ინფორმაციაა კოდირებული. უფრო მეტიც, მათ უნდა ჰქონდეთ იგივე მიზნები და დანიშნულება. ჩვენი კვლევის ფარგლებში პროგრამული ანალიზატორის მიერ გამოვლენილი მთარგმნელობითი უზუსტობების სიმრავლეს თუ გავითვალისწინებთ, ვრწმუნდებით, რომ იურიდიული ტერმინების დიდი ნაწილი თარგმნილია ლექსიკური მნიშვნელობით, უგულებელყოფილია მასში კოდირებული მიზანი.

მოსამართლემ უნდა მოახდინოს კანონის ინტერპრეტაცია, საამისოდ ის ვერ დაეყრდნობა მასში შემავალი ცალკეულ სიტყვებს, რომელთაც შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს და აზრობრივი ბუნდოვანება გამოიწვიოს. საუკეთესო გამოსავალია ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია, ერთგვარი ფილოსოფიური მიდგომა, რომელიც ეფუძნება ამათუიმ კანონის მიზნებს და მიმართულებებს და არა ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების მნიშვნელობას. ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია შეიძლება განვმარტოთ, როგორც „სასამართლოს მიერ გამოყენებული მეტოდი, როდესაც ისინი ახდენენ საკანონმდებლო აქტების ინტერპრეტაციას დასახული მიზნების, ღირებულებების, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ამოცანების ჭრილში.“

კანონის ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის უკეთ წარმოჩენის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ რ.იაკობსონის ინტერპრეტაციის თეორია (ბერიძე, 2018: 16). ის განასხვავებს ლინგვისტური ნიშნის სამი ტიპის ინტერპრეტაციას, რომელთაგან კანონის ინტერპრეტაციასთან მიმართებით გამოვყოფდით **შიდაენობრივ თარგმანს** ანუ ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაციას იგივე ენაზე სხვა ნიშნებით.

კანონების შედგენა საკანონმდებლო ორგანოების პრეროგატივაა, მოსამართლეს კი მისი ინტერპრეტაციის სრული უფლება აქვს. ტელეოლოგიური ინტერპრეტაციით, მან კანონის გაგება და კონკრეტული განსახილველი საქმე ერთმანეთს უნდა მოარგოს. კანონის ინტერპრეტაციას ის ახდენს მშობლიურ ენაზე, ე.ი. ადგილი აქვს **შიდაენობრივ თარგმანს**.

საერთაშორისო დონის სამართლებრივი აქტების შემთხვევაში, როგორც ჩვენს მიერ გაანალიზებული ასოცირების ხელშეკრულებაა, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ინტერლინგვისტურ ინტერპრეტაციას, ანუ საკუთრივ თარგმანს. აუცილებელია, დაცული იყოს ეკვივალენტობა დედანსა და წყარო ტექსტს შორის, რათა მოსამართლემ სწორად განჭვრიტოს მასში კოდირებული მიზნები და მოარგოს კონკრეტულ განსახილველ საქმეს, ანუ განახორციელოს კანონის ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია. იურიდიული პარალელური ტექსტების ტელეოლოგიური კვლევისას ვიხელმძღვანელებთ მოსაზრებით, რომ თითოეულ ტერმინში კოდირებული კონკრეტული მიზანი ემსახურება ადამიანის ცნობიერების მიმართვას კანონმორჩილები-საკენ, ხოლო მისი საბოლოო მიზანია სამართლიანი საზოგადოების ფორმირება. შესაბამისად, ტელეოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვ-

especially important for corpus research: volume, velocity - speed of data processing, variety, veracity, and variability.

The same corpus linguists recognize different methods of big data analysis, of which we will single out the following: Data Mining, Crowdsourcing - categorizing and enriching data with the participation of many people on the basis of the public offering; Data Fusion and Integration, Machine Learning, Pattern Recognition, Simulation Modeling, Spatial Analysis, Statistical Analysis, Visualization of analytical data.

In the present research, we primarily use the Data Mining method. It is noteworthy that the term data mining (which belongs to G. Piatetsky-Shapiro, 1989), like Big Data, was created by analogy with minerals. Translated from English it means mining. Indeed, the colossal amount of information will provide the material needed for the study. Through data mining, it is possible to find, process, and calculate previously less-studied, often unknown, practically usable, and interpretable data.

Our goal is not just to classify existing groups, but to identify new groups and patterns in large databases. This is the stage of machine processing of the knowledge discovery process in databases. The latter allows us to generate, verify and clarify hypotheses.

In data mining, we rely on modern digital methods and traditional theoretical disciplines that are widely used by practicing or theoretical corpus linguists, such as Databases - a set of electronic information, digital objects, through which we search and process data automatically; Artificial Intelligence - a feature of an automated system that has certain functions of human intelligence; Machine Learning - specially designed computer algorithms that can automatically improve (smarten) the work process, which is programmed in it from the beginning; Algorithmization - using pre-compiled algorithms to solve a given task via a computer. Data mining is a rather long and time-consuming process that involves several stages. Corpus linguists distinguish between different stages, from which we will distinguish the following main ones:

From the above definitions of corpus linguistics it is clear how difficult it is to agree on its unambiguous determination, although based on them we can gather individual points which, in turn, determine the purpose of corpus linguistics, namely:

Corpus linguistics relies primarily on authentic linguistic resources, 2) digitized resources, 3) uses large volumes of empirical material.

1.2. The definition of the corpus - When talking about corpus linguistics, we consider it relevant to analyze the concept of 'corpus' itself. The word "corpus" (pl. "corpora") is of Latin origin and means "body" in Georgian. It seems strange what it has to do with linguistics. If we go deeper, the 'corpus' in this case is associated with one whole. It is no coincidence that, just as the body is associated with a living creature, the corpus is a kinetic set of digitized elements of language, not just an inactive, "lifeless" static set of linguistic elements.

Let us consider the term "corpus." It has several meanings in English. In linguistics, we understand the term 'corpus' as a collection of texts that will be used for linguistic analysis. "The language observed in the building is natural" (Togenin - Bonnell, 2001:2). Sinclair defined the corpus as "a collection of naturally occurring linguistic texts that are characteristic of a state or a diversity of languages" (Sinclair, 1991:171). In 2005, he came up with a more accurate definition of corpus, because "corpus is a collection of texts in digital form, selected according to external criteria and, as far as possible, representing language diversity as a source of data" (Sinclair, 1991: 171).

Like any research, methods are of paramount importance in case studies. Because the corpus relies on Big Data, it is impossible to process them using traditional research methods, it even exceeds the common intellectual capabilities of many researchers. It becomes necessary to use special computer programs. Corpus linguists (S. Shreibman, D. Beri, M. Tandashvili, R. Khalvashi, and others) characterize big data according to various features, of which we consider the following to be

ნათ: კანონები იქმნება არა იმისთვის, რომ უბრალოდ ვიცოდეთ, არამედ უნდა დავიცვათ, აღვასრულოთ ისინი, რათა ვიცხოვროთ კანონმორჩილ, სამართლიან საზოგადოებაში, რაც სოციუმის უზენაესი მიზანია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თარგმანში დაშვებული თითოეული შეცდომა ან უზუსტობა, ამა თუ იმ ტერმინის შეუსაბამო ეკვივალენტის შერჩევა, არ არის უბრალოდ მთარგმნელობითი შეცდომა, არამედ კანონის არასწორი ინტერპრეტაციის საფრთხე იკვეთება. მითუმეტეს, როდესაც საუბარია ისეთი დონის სახელმწიფოთაშორის იურიდიულ დოკუმენტზე, როგორც ასოცირების ხელშეკრულების თარგმანია. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველო ერთიანი ევროპული სამართლებრივი სივრცის ნაწილი უნდა გახდეს, ამიტომ ქართულ თარგმანში გადმოტანილ თითოეულ იურიდიულ ტერმინში კოდირებული მიზანი დედანში არსებულ ტერმინში კოდირებულ მიზანს უნდა შეესაბამებოდეს.

3.2. ტექსტის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის თავისებურებები - ვინაიდან ტელეოლოგია მჭიდროდ უკავშირდება პრაგმატიკას, აღნიშნულ ქვეთავში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ტექსტის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის თავისებურებების გაანალიზება. პრაგმატიკულ მნიშვნელობაზე საუბრისას განვიხილეთ სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრება თვით ტერმინ პრაგმატიკის თაობაზე. გავრცელებულია მოსაზრება, რომ მისი თანამედროვე გამოყენება უკავშირდება ფილოსოფოს ჩარლზ მორისს (Levinson, 1983:2). მან პრაგმატიკა გამოყო სემიოტიკის (მეცნიერება ნიშნების შესახებ) ერთ-ერთ მიმართულებად, როგორც ნიშნების ინტერპრეტატორებთან მიმართების კვლევა.

მორისისეული გააზრებით, პრაგმატიკა არის ძალიან ფართო ცნება, რომელიც იკვლევს ნიშნების ფუნქციონირებისას მიმდინარე ფსიქოლოგიურ, ბიოლოგიურსა და სოციალურ პროცესებს. პრაგმატიკის ასეთი გაგება ძალიან ფართოა და ამ პოზიციის გაზიარების შემთხვევაში იგი მოიცავდა ენის ისეთ ასპექტებს, რომლებსაც ახლა იკვლევენ ლინგვისტიკის დამოუკიდებელი დისციპლინები: ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა და სხვა. მეორე მხრივ, პრაგმატიკის ჩარჩოები დავიწროვდა, რაც ფილოსოფოს კარნაპის სახელს უკავშირდება (Levinson, 1983:2). მისი აზრით, თუკი გამონათქვამის მნიშვნელობის კვლევისას მოსაუბრეს ღიად მოხსენიებენ, ასეთ შემთხვევაში ანალიზი მიმდინარეობს პრაგმატიკის ჭრილში. პოზიციას, რომლის მიხედვითაც პრაგმატიკა არის ენის იმ ასპექტის კვლევა, რომლებიც აუცილებლად მოითხოვენ ენის მომხმარებლის რეფერენციას, მივყავართ ტერმინის მეტად ვიწრო გაგებასთან. ლევინსონის მტკიცებით (Levinson, 1983:7), პრაგმატიკის ამგვარი განმარტება შეუძლებელს გახდიდა ენის გამოყენების სრულყოფილ კვლევას. იგი ამტკიცებს, თუკი ლინგვისტიკისათვის მნიშვნელოვანია ტრიქოტომიის (სინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა) არსებობა, მაშინ აუცილებელია პრაგმატიკისათვის სათანადო ჩარჩოს დადგენა, რათა ლინგვისტურმა კვლევამ მოიცვას კონტექსტის არსებითი ასპექტები. კონტექსტმა უნდა მოიცვას დროისა და სივრცის პარამეტრები კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდთა პიროვნებები, მათი რწმენა და მისწრაფებები, ცოდნა, განათლება და ინდივიდუალური ზრახვები. ამდენად, მნიშვნელოვანია მოძიება პრაგმატიკის ისეთი განმარტებისა, რომელიც ამ დისციპლინისათვის კვლევის სათანადო

scientific fields, developed by American researcher Melville Davey and UDC - Universal Decimal Classification (created by Paul Otlet and Henry Fontaine (1895) as an independent scientific discipline. "Linguistics has its own code (4 in DDC, 8 in UDC), and computer science has its own code (in 004 DDC and in UDC as well)" (Tandashvili, 2014: 13).

Corpus linguistics is a relatively new field today and is still in the process of research and development, so its definitions are also heterogeneous. We have considered the explanations proposed by different researchers that have been formulated from different viewpoint We have tried to conduct a comparative analysis of several of them to enable us to reconcile the most acceptable and relatively exhaustive explanations at our discretion. It is also noteworthy that in the study of most theoretical works in corpus linguistics we came to the conclusion that they were written by practicing corpus linguists, which is proof that in interdisciplinary sciences the line between theory and practice has been erased. If in the early period linguistic studies were mainly limited to theory and were they introduced into practice only later on (i.e. the top-down process), the theoretical work of corpus linguistics relies directly on practical studies (bottom-up process). Moreover, the theoretically proved material is still intended for practical use ("bottom-up-down").

Let us return to the definitions of corpus linguistics proposed by different researchers and their analysis:

Part of the researchers consider corpus linguistics to be a method that allows us to study linguistic problems based on digital texts. In order to conduct research, it is necessary to digitize the written and oral samples of the language and annotate them according to the parts of speech. For the most part, some aspects of research require the processing of large amounts of data, which requires a more detailed, automated annotation (Computer Linguistics Portal <http://www.computerlinguistik.org/portal/portal.html?s=Korpuslinguistik>).

Language and translation: In the era of globalization, language develops mainly through translation. Naturally, during the last twenty years, it has been influenced by such new concepts and their terms that did not exist before, not only in the thesaurus of the Georgian language but also in the field of concepts of our worldview. Given that the correct establishment of new concepts is the mission of translators, they have the greatest responsibility in the development of language, as their terms only transfer them to our field of concepts and they are embedded in our thesaurus. If we imagine this process as a continuous social chain of the use of new concepts established in language and the language itself, the mistranslations enter the discourse of the mass media and create not only ambiguous but faulty syntactic constructions as well.

Structure and volume of the research: The research includes an introduction, four chapters, eleven subchapters, a conclusion, references, internet sources and appendices. The research contains 174 printed pages.

Summary

Chapter I. Corpuslinguistics as an Innovative Scientific Direction - consists of two subchapters:

1.1. The chapter reviews corpus linguistics as a scientific field, as a relatively new direction of humanities, which arose on the basis of a combination of two fields of science: humanities and informatics. It, as a kind of "symbiosis", developed quite rapidly in parallel with the development of theoretical linguistics and informatics, and soon became an interdisciplinary scientific field. The question of whether corpuslinguistics is an independent scientific discipline and if so, what is the difference between corpuslinguistics and traditional linguistics causes differences of opinion in the scientific circles.

The issue is based on the fact that corpus linguistics in the International Classification (DDC - Dewey Decimal Classification, one of the most common international classifications of systematization of

ჩარჩოებს დაადგენს და შესაძლებელს გახდის მნიშვნელობის სრულ და თანმიმდევრულ შესწავლას.

იულის (Yule, 2000:12) მიერ მოცემული ერთ-ერთი განმარტების შესაბამისად, პრაგმატიკა არის მოსაუბრის ან მწერლის მიერ გადმოცემული და მსმენელის ან მკითხველის მიერ ინტერპრირებული მნიშვნელობის კვლევა. შესაბამისად, პრაგმატიკა მოიაზრება, როგორც ადამიანის, ინდივიდის მიერ გამოხატულ გამონათქვამში ჩადებული ზრახვის ანალიზი და არა თავად ამ გამონათქვამში შემავალი სიტყვებისა თუ ფრაზების ანალიზი. ლევისონის მიერ შემოთავაზებული პრაგმატიკის მომდევნო განმარტების მიხედვით, ეს დისციპლინა არის ენის კვლევა ფუნქციური თვალსაზრისით და იგი არის მცდელობა, ახსნას ლინგვისტური სტრუქტურების კავშირი ექსტრალინგვისტურ მიზეზებსა და ფაქტორებთან. ლევისონივე გვთავაზობს შემდეგ განმარტებას: პრაგმატიკა არის ენასა და კონტექსტს შორის არსებული იმ ურთიერთმიმართების კვლევა, რომელიც გრამატიზებულია ან კოდირებულია ენის სტრუქტურაში.

არსებობს გარკვეული მოსალოდნელი ან შესაფერისი გარემოებები, რომლებსაც წარმატებული კომუნიკაციის პირობებს უწოდებენ. შესაფერისი ანუ წარმატებული კომუნიკაციის ეს პირობები აუცილებელია, რათა კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდებმა მოახდინონ შესრულებული სამეცყველო ქმედების სწორი და სათანადო ინტერპრეტაცია. ზოგიერთი ასეთი პირობათაგანი, რა თქმა უნდა, საერთოა ნებისმიერი სახის ენობრივი კომუნიკაციისათვის. მაგალითად, აუცილებელი წინაპირობაა, რომ მოსაუბრესა და მსმენელს ესმოდეთ ერთმანეთის, მაგალითად, უნდა საუბრობდნენ ერთსა და იმავე ენაზე. ასევე აუცი-

ლებელია ორივე ინდივიდს ჰქონდეს სმენის უნარი და ა. შ. ზოგიერთ შემთხვევაში სამეტყველო ქმედება იქნება წარუმატებელი, თუკი ქმედება სათანადო (შესაფერისი) პირის მიერ სათანადო პირობებში არ არის წარმოთქმული. მაგალითად:

–You are adjudged guilty! (თქვენ დამნაშავედ გცნობთ!)

თუკი ეს გამონათქვამი მოსამართლის მიერ სათანადო გარემოში არ არის წარმოთქმული, ამ შემთხვევაში სასამართლო პროცესის დროს სასამართლო დარბაზში, გამონათქვამი, რა თქმა უნდა, გადმოსცემს ინფორმაციას, მაგრამ იგი მთლიანად მოკლებულია ილოკუციურ ძალას.

